# თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
## №2

ქ. ქუთაისი 31 ივლისი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

| | |
|---|---|
| კოტე რატიანი | – ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. |
| ლევან ჭანჭალეიშვილი | –ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი. |
| ვასილ მეზურიშვილი | –ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი |
| ირაკლი გიორგაძე | – ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი. |
| ნოდარ მიქიაშვილი | –ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი. |

**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი :** კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისის საკანალიზაციო ქსელის მოწყობა-რეაბილიტაციის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესახებ.

**განხილვა:** საკონკურსო კომისიის წევრის ლევან ჭანჭალეიშვილის გამოსვლა იმის თაობაზე, რომ ქალაქ ქუთაისის საკანალიზაციო ქსელის მოწყობა-რეაბილიტაციის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში (საკონკურსო განცხადება №603. 27.07.2012წ.) განსაზღვრულ დროში არცერთი კონკურსანტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება. შესაბამისად კონკურსი არ შედგა.

**აზრი გამოთქვეს:** საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: კოტე რატიანმა. კომისიის წევრებმა: ირაკლი გიორგაძემ და ლევან ჭანჭალეიშვილმა.

**დაადგინეს:**

1. ქალაქ ქუთაისის საკანალიზაციო ქსელის მოწყობა-რეაბილიტაციის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსი გამოცხადდეს არშემდგარად.
2. დაევალოს საკონკურსო კომისიას მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით, რათა კონკურსს მიანიჭოს სტატუსი – კონკურსი ,,არ შედგა".

3. ქალაქ ქუთაისის საკანალიზაციო ქსელის მოწყობა-რეაბილიტაციის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით კონკურსი გამოცხადდეს განმეორებით და საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კოტე რატიანი

კომისიის წევრები:

ლევან ჭანჭალეიშვილი

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე

ნოდარ მიქიაშვილი